8
1960

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოვდივარ, ძველ წელს მშვიდობას ვეტივი,
ამაგდარ მშობელს ჭაბუკი შევცვლი.
მომაქვს დოვლათი საბჭოთა ქვეყნის,
ახალი ფული, ოქრო და ვერცხლი.
— მომაქვს დიდება საბჭოთა სალხის,
კოსმოსს რომ მისწვდა გონების ხელით.
ვარ მშენებელი უთვალავ ახლის,
დიად შვიდწლედის გმირული წელი.

№ 24 თბილისი დეკემბერი 1960

ბიბიკი

გამოცემის XXXVIII წელი, ფასი 2 მან.
(1961 წლიდან 20 კაპ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრული შარჟი ნახ. გ. ფირცხალავასი



სანდრო ეულს

(დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო)

ჩვენ ვიცით, ერთ დროს „ნიანგი“
იყო ეულისეული,
შენი ლექსებიც გვინახავს
მკითხველთა ჯარდასეული.
ახლა „საჯაროს“ განაგებ,
ხელთა გაქვს სიბრძნის ფესვები.
კიდევ მრავალი გვსმენოდეს
შენგან ნაქუხი ლექსები.
ერთი, ორი,
ხომ ვართ სწორი?!

მე ჩემს ხონჩაზე მიწყვია
სატირა, პროზა, ბალადა,
ლექსი, ზღაპარი, თარგმანი,
ცნობილი მთად და ბარადა.
ვისაც რა მოსწონს, აიღოს
სახითა მხიარულითა,—
მცირედიც შეიწირების,
თქმული კეთილი გულითა.

საახალწლო

ქალთა საპარიკმახეროში

— გამატარეთ, ჩემი რიგია!
— რა გნებავთ, ქალბატონო, რა?
— ექვსთვიანი.
— შვიდთვიანი ხომ არა ხართ? მოითმინეთ, რიგი დაიკავეთ, მოესწრებით დამახინჯებას.
— როგორ თუ რიგი, გუშინ თქვენ წინ არ ვიდექი?
— გუშინ ჩემს წინ შავთმიანი ქალი იდგა.
— ახლა გაწითლებია სირცხვილით, შენ კი არა, ქმარი ველარ იცნობს სახლში.
— გელაპარაკებით, ნუ მიფუჭებთ საახალწლო განწყობილებას.
— ვაი შენი მეუღლის ბრალი, დაგიხვევდი კი არა, დაგაგლეჯდი მაგ თმებს.

მამაკაცთა საპარიკმახეროში

— ოჩერეედ!
— გამიშვი, თუ ძმა ხარ, მაგ სამართებელს ვარ მიჩვეული.
— მეც მაგის კლიენტი ვარ, ცოტა მოითმინეთ.
— პარიკმახერი კერძო საკუთრება ხომ არ არის, მე არასოდეს ვყოფილვარ მაგის კლიენტი, მაგრამ, რიგი ჩემია და ცოცხალი თავით არვის დავანებებ.
— სახლში თუ იპარსავ, რაღა მაინცდამაინც 31 დეკემბერს მოგინდა საპარიკმახეროში გაპარსვა, ხალხის ნერვებზე თამაშობ?
— მაგი მხოლოდ საახალწლოდ დადის აბანოსა და საპარიკმახეროში.
— ნუ ერევით ჩემს პირად საქმეში.
— ტარო წაისვი, იაფად გამოხვალ.
— ოჩერეედ!
— პრიბოორ!

ბ ა ზ ა რ შ ი

— რას ამბობ, რას, კვერცხი ასე ძვირად გინდა გაყიდო?
— რა ამბავია, სათითაოდ მევაჭრეთ, ბაზარი ხომ არ არის?
— დაგვიკელი, სულ ერთია, ხვალიდან მაგ ფასად ქათამს იყიდის კაცი.
— დაგვიკელი ჰო, სახაჭაპურედ მინდა.
— გინდა გოგლიმოგლისათვის გინდოდეს, კაპიკს ვერ დაუკლებ.
— ვის ელაპარაკებით, შეხედეთ პიანისტივით აქვს თითები. ეგ თუ პატიოსანი გლეხია, რატომ არა აქვს ხელებზე კოჟრები?
— რას ევაჭრებით, აგერ ფერმის კვერცხები იყიდება გროშებად.
— მოიცათ, მოიცათ, ორი აბაზით ნაკლებად მოგცემთ, სახაჭაპურე კვერცხებია.

ო ჯ ა ხ შ ი

— გადამრევს ეს კაცი, ასე წვერგაუპარსავი გინდა შეხვდე ახალ წელს?
— რომელი ხარ, ქალო შენ, რას გიგავს თმები!

მეკვლე

ნახ. ვ. ფირცხალავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ ხართ მანდ?!

— მე, ბებია, ილიკო და ილარიონი ჩამოვედით სოფლიდან ახალი წლის მოსალოცად!

ნიანგის ოლიოკვანძი

ახალი წლის ღღესასწაულთან დაკავშირებით მკითხველები გვთხოვენ მოვასმენინოთ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაკებს შემდეგი სიმღერები:

1) რესტორნებისა და სასადილოების მუშაკებს:

„ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს“.

2) ხალხური ცეკვის ანსამბლს:

„დაგეძებ და ვერ გპოულობ, მითხარ სადა ხარ?“ და

„ჩემთან ასულო, ჩემთან ლამაზო, ჩემთან იცეკვე!“

3) წყალთა მეურნეობის მუშაკებს:

„თებრონე მიდის წყალზედა“ და „ტურფავ, მოდი“.

4) თელასის მუშაკებს: **„ჩავაქრე სანთელი, ოთახში ბნელოდა...“ და „დილაა თუ ბინდია, გულში ცეცხლი მიწოია...“**

5) საბინაო სამმართველოსა და სარემონტო კანტორის მუშაკებს:

„ზამთარია, მათოვს, მაწვიმს“ და „ეუეუნა წვიმა მოვიდა„.

6) სავაჭრო დარგის მუშაკებს: **„რა საეჭვოდ ილიმები“ და „ჩემო მწველო, ჩემო მკვლელო“.**

7) კავშირგაბმულობის მუშაკებს:

„ჩემო ტკბილო მეგობარო, შენი ნახვა მენატრება!“ და „მელოდე“.

8) საქალაქო ტრანსპორტის მუშაკებს:

„დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან“...

9) სამკერვალო ფაბრიკების და ატელიეების მუშაკებს:

„ახ,ნეტავი არ გამეცვნე თავიდან“ და „რა დაგიშავე, რიხთვის დამტოვე...“

10) „სტილნი“ ბიუროს: **„ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა...“**

ნიანგი

სახალხო პოეზია

თბილისკალაქს

ოდითგან სახელგანთქმული,
მზის და ვარდების ქალაქო,
შენი დიდება გამხდარა
საქვეყნოდ სალაპარაკო.
ისე აშენდი, დასახლდი,
გრიალებს შენი სახელი,
სამყოროში ფეხი აიდგი,
წყნეთში სირბილით ახელი.
სიცოცხლის ფერი მიეცი
ყველა ხვასა და ასახვეს,
აქეთ სასტუმრო ააგე,
იქით აღმართე სასახლე.
ამ ახალ წელსაც გისურვებ
ისე გაგეთქვას სახელი,
ზღაპარიაო თბილისი,
ამბობდეს შენი მნახველი.

ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს

რომ დაივწყე სოფელი,
როდინი, კოვზი, გობია,
ხომ გიყვარს ქართული ქოთანში
ამოდესილი ლობიო?
ხომ გიყვარს ჭრელი ხალიჩა
კოხტად დაწნული კალათი?
სულ ყველა დიდებულია,
ამას არ უნდა კამათი.
ოდა, მიხედე ამ საქმეს,
სხვა საქმით რომ ხარ გართული,
შემოგვაპარე ხანდახან
კოვზი და გობი ქართული.

ბურჯანელ მელვინეებს

ეი თქვენ ბურჯაანელნო,
ბაუმაძეარნო შრომითა,
ახალ წელს თქვენთან მოსვლა და
თქვენი დალოცვა მომინდა.
სახელგანთქმულნო გარჯითა,
სახელგანთქმულნო ღვინითა,
აგვიესეთ მთელი ქვეყანა
მადისმომგვრელი ღვინითა.

ბიათურას

ადრე რა შავქვად უნდოდი
ვიდრე განახავდა აკაკი,
ახლა კი ოქროდ ფასდები,
ო, რა კარგი ხარ, რა კარგ
დე, შენს წიაღში ყოველდღ
გმირები იბადებოდეს,
ამ საახალწლოდ «დაგწყვეტ
ბულში შავი ქვა ედებოდეს

ოსურ

შენთან რაართ, მზე გვაშავებს,
თორემ აჩით პირშავები,
შენნი სხეულისფერნი,
გვრეტენ, და გვიშავებენ.
ამ ახალ წ მოგილოცავთ,
ოფხაზეთიგულ,
სულყველა გაკაკე,
სუსტად კი დაიგულ.
ოცნებაა ეზოის
კეროტა სიარული,
არასოდეს ცლეოდეს
ზღვა, სი და სიხაროული!

სამხრეთ ოსეთს

ბოდიშს ვიხდი, საახალწლოდ
ოსეთში ვერ გეახლები,
ოსურ ლუდს და ხაბიზგინებს,
აქ თბილისში გეახლები,
შრომის ფერხულს ამკობ «სიმდეთ»,
სამშობლოსთან არ ხარ ვალში,
მთელ მსოფლიოს «დაპატრეს
დაშაქრული შენი ვაშლი,
ათას ლოცვას, ათას კოცნას
გამოვატან შენთან ფოსტას,
რომ სამშობლოს კვლავ უზრდიდ
ჩვენი დროის ახალ კოსტას.

სტალინირის პუტკოვიჩინატს

დალოცვილი ქარხანა ხარ,
რა გვირს ჩვენი მოსალოცი,
ეკოლოგი—მზელავია,
ედაგოგი—ცელის უფროსი,
ჩამკერელი და გამომცხობი
ძველი ზოოტექნიკოსი.
ფერშალიც გყავს, ბეითალიც,
ასტრონომი, მუსიკოსი,
თე დირექტორს შეელევი,
დასვი აკადემიკოსი.

ქუთაისსა და მის სახალხო ოპერას

ამბობენ რომ ქუთაისში
უკვე ოპერაც კიაო,
თვითონ ხალხმა ჩაატარა
დიდი ოპერაციაო,
ყველა აღტაცებულია,
ქალია თუ კაციაო.
მსმენელებმა მოგაყარეს
ხან ვარდები, ხან იები,
განთქმულ იყავ ქეფებით,
დროსტარებით, ვარიებით,
ახლა უკვე ბულს გვიხარებ
მანქანებით, არიებით.
შენი მყღერი ხმები ისმის,
აისი თუ დაისია,
ხალხი ბილეთს ძლივს შოულობს,
ხან ნაღდია, ხან ნისია,
და «დაისა» ქუთაისში
საქართველო დაისია.

მახარაძელ მეჩაიეებს

მახარაძის რაიონი
განთქმულია გურიაში,
ვალდებულება იკისრა,
ჯერ არ თქმული დენიაში,
ერიმანტული დაახვია,
ვეიყვანა ხალხი ჩაში,
ყველა, ვინც კი ვეეჯიბრა,
მეიტანა უკან კვალში.
—ჩვენს საყვარელ მთავრობასთან
რავა უნდა დავრჩე ვალში,
ვეგმა უკვე შეეასრულე,
არ მემეცრა თავი ხალხში.
აი რაა, თქვენ მიყურეთ,
რას ჩვენდან მომავალში!

ბათუმის ავეჯის ფაბრიკის მუშაკებს

ბათუმო, ავეჯს გიქმენ,
ქართულ საწოლს და მაგიდას,
გისურვებ შენი ავეჯი
ყველა ოჯახში დაიდგას.
ისე გეშრომოს, მყიდველი
შეეყოფმანდეს და დაეტკბეს
ეეღარ არჩევდეს რიგის და
შენს გამოშვებულ ავეჯებს.



ამინდის ბიუროში

ამინდის ბიუროში შევიდა კაცი და გაბრაზებულმა იკითხა:

— ვინაა თქვენი უფროსი?

— გასულია.

— არა გრცხვენიათ, კაცო, გაზეთში წერთ, სუსტი ქარიო და ესაა სუსტი, ლამის ხეები მოგლიჯოს?

— ხომ არ მოუგლეჯია?

— არა, მაგრამ...

— აი, როცა მოგლეჯს, მეორე დღეს წაიკითხავ, რომ გუშინ ქალაქში ძლიერი ქარი იყოო. ახლა ქუდი დაიხურე და გადი გარეთ.

გ. კაზაროვი

მლიქვნელის თავგანწირვა

ნახ. დონისა

— ამოდენა ყანწს რა დამალევინებს, თავი კი არ მაქვს მოძულებული!

— მე დავლევ, უფროსო, თქვენს მაგივრად, სხვა რაში გამოგადგებით, სმა მაინც ვიცი!

ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 1960 წელს გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლედის გეგმა.

(გაზეთებიდან)

ნახ. გ. ლომიძისა

— ვისი სული გსურთ?

— ათას ცხრაას სამოცდაექვსი წლისა!

რადიომიმღების როლი ზოგიერთ ოჯახში

— რატომ აყვირებენ მეზობლისას რადიომიმღებს?—მკითხა მეგობარმა.

— ჩხუბობენ...

მეგობარმა იმავე დღეს შეიძინა რადიომიმღები.

რაც სჭირდება დისერტაციას

— როგორ არის თქვენი მეგობრის დისერტაციის საქმე?

— ბრწყინვალედ. დღეს სოფლიდან 12 კოკა ღვინო, 10 გოჭი, 20 ქათამი, 5 ინდაური და სახაჭაპურე ყველი გამოუგზავნეს.

გ. გმაძაბია

— მე შენ სულაც არ გიყვარვარ! შეხედე, ის კაცი რა ლამაზი თაიგულით დახვდა ცოლს!
— კი არ დახვდა, აცილებს!

ნახ. ზ. ლეჟავასი

ნაწნავებზე



ნაწნავები!—სად ვიპოვო?...
ვაკვირდები დანანებით,
რომ მხვდებიან თმაქოჩორა
ნონები და მანანები...

აღარ მახსოვს რა თვე იყო—
თებერვალი თუ მაისი;
აღარ მახსოვს გორი იყო,
თბილისი თუ ქუთაისი;

მე იქ კონცერტს დავესწარი...
ერთი ფიქრით ნაწამები,—
ელვასავით ირხეოდნენ
ნაწნავები!

ნაწნავები!

და ერთ-ერთი ავირჩიე,
მივაშტერდი ბედადჩენილს;
გადაეწყვიტე - მოვიტაცო,
გავახარო დედაჩემი...

მაგრამ ფარდა დაეშვა და
როს გავიჭერ გაგიქებით,
ვფიცავ—ვეღარ გავარჩიე
გოგონები და ბიჭები.

საით გაქრნენ ნაწნავები,
სადღა ვპოვოვ იმ მანდილებს?...
ვაგლახ, გვიან გავარჩიე
სიყალბე და სინამდვილე!

ჰოდა, დღესაც ვიდაგები
იმ წუთების მოგონებით —
ხელში შემრჩნენ ჩემზე უფრო
გაკრეჭილი გოგონები!

სერგო ფაცაცია

763
28/XII

გამოყენებითი მათემატიკა

ნათელა მარტყოფაშვილს და ეკატერინე შაუმოვას იმდენად გაუმარტივებიათ და პრაქტიკული გაუხდიათ არითმეტიკა დამრგვალების გზით, რომ იგი, თამამად შეიძლება ითქვას, ამიერიდან დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც გამყიდველებს, ისევე მყიდველებს, რადგანაც უკვე აღარ მოუხდებათ კაპიკების ერთი მეორისათვის მიმატება და შეკოწიწ-შემოკოწიწება ჯამის დასადგენად.

მარტყოფაშვილი და შაუმოვა თბილვაჭრობის № 2 უნივერმაღის საბავშვო განყოფილების გამყიდველებია.

აი მათი გამოყენებითი არითმეტიკის ნიმუში:

ა. წ. 14 დეკემბერს განყოფილებაში გასაყიდად გამოიტანეს ბავშვის წინდები (ფაქტურა № 1783). თანახმად ფაქტურისა, წინდები ღირს:

ზომა № 16—2 მ. 50 კ.
№ 18—3 მ
№ 20—3 მ. 50 კ.
№ 22—4 მ. 50 კ.

მარტყოფაშვილმა და შაუმოვამ რამდენიმე ასეული წინდა, თავიანთი გამოყენებითი არითმეტიკის მიხედვით, 5-5 მანეთად გაყიდეს, არც თვითონ გაწვალებულან ანგარიშით, არც მყიდველები გაუწვალებიათ, მყიდველებიც „კმაყოფილები“ დარჩნენ და გამყიდველებიც: ეს უკანასკნელები, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, უფრო კმაყოფილნი დარჩენილან.

უნივერმაღის დირექტორს, ამხ. გიორგი პლატონის ძე ხვინგიას, არცთუ ისე გაკვირვებია, რომ სამმანეთიანი წინდა 5 მანეთად იყიდებოდა, სამაგიეროდ მისი მოადგილე, ვასილ თეოფილეს ძე არიშვილი, ცოტა მაინც „შეშფოთდა“ და გამყიდველები სექციის გამგესთან—გენადი დადუნაშვილთან ერთად მამაშვილურად „დატუქსა“ შემდეგი სიტყვებით:

— 50-50 კაპიკი აგეღოთ ზედმეტი თითო წყვილიდან, ხომ გითხარით, ცოტ-ცოტა იკმარეთ, ნუ დახარბდებითო.

მაგრამ, რატომღაც, ასე არ ფიქრობენ მყიდველები და მათ შორის ნელი ავდეევა და კლავდია ევსტიგნეევა, რომლებიც წანაღლეტის დაბრუნებას მოითხოვენ, რადგანაც მათ არ აწყობთ მარტყოფაშვილის და შაუმოვას ვაი-მათემატიკა.

იქნება რაიმე საახალწლო საჩუქარიც მიართვან მარტყოფაშვილსა და შაუმოვას?!

2 ფუშტარი

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ბელმოწ. დასაბ. 19/XII-1960 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 2130. უე 08020. ტირ. 40000

ნახ. გ. ლომიძისა

60-76
ეროვნული ბიბლიოთეკა

დოლარის საახალწლო აგონია

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ ამერიკის მოკავშირეები უარს ამბობენ დახმარება გაუწიონ დოლარს.

— შეეწიეთ დავრდომილსა და სნეულს!